

ირჩევ ევერესტს?  
ესე იგი ირჩევ  
ხარისხს!!!

სახელი, გვარი, ტელეფონი .....  
სკოლა .....  
მათემატიკის მასწავლებელი .....

1 მანანამ თორმეტლარიანი ტაფა შეიძინა. მან გამყიდველს ოცლარიანი მიაწოდა. გამყიდველმა მანანას შეცდომით მხოლოდ 5 ლარი დაუბრუნა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- 2 ა) რამდენლარიანი ტაფა შეიძინა მანანამ?  
1) რვალარიანი    2) თორმეტლარიანი    3) ოცლარიანი    4) ოცდორლარიანი
- 2 ბ) რამდენი ლარი დაუბრუნა გამყიდველმა მანანას?  
1) 5 ლარი    2) 8 ლარი    3) 12 ლარი    4) 20 ლარი
- 5 გ) რამდენი ლარი დააკლო გამყიდველმა მანანას?  
1) 8 ლარი    2) 5 ლარი    3) 3 ლარი    4) 1 ლარი

2 მაღაზიაში 8 თანაბარ ნაჭრად დაჭრილი ლობიანის 6 ნაჭერი გაყიდეს, თითოეული ნაჭერი – ოთხ ლარად. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- 2 ა) რამდენი ნაჭერი ლობიანი გაყიდეს?  
1) ერთი    2) ორი    3) ექვსი    4) რვა
- 2 ბ) რამდენ ლარად გაყიდეს ერთი ნაჭერი ლობიანი?  
1) ორ ლარად    2) ოთხ ლარად    3) ექვს ლარად    4) რვა ლარად
- 5 გ) სულ რამდენი ლარია საჭირო ლობიანის დარჩენილი ნაჭრების შესაძენად?  
1) 2 ლარი    2) 4 ლარი    3) 6 ლარი    4) 8 ლარი

3 ორი ერთნაირი ნესვი იმდენივეს იწონის რასაც ერთი საზამთრო. ნახევარი ნესვი ოთხ კილოგრამს იწონის. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

- 2 ა) რას იწონის ნახევარი ნესვი?  
1) ორ კილოგრამს    2) ოთხ კილოგრამს    3) ექვს კილოგრამს    4) რვა კილოგრამს
- 2 ბ) რას იწონის ერთი ნესვი?  
1) ორ კილოგრამს    2) ოთხ კილოგრამს    3) ექვს კილოგრამს    4) რვა კილოგრამს
- 7 გ) რას იწონის საზამთრო?  
1) ოთხ კილოგრამს    2) რვა კილოგრამს    3) თორმეტ კილოგრამს    4) თექვსმეტ კილოგრამს

4) ბაბუამ მარანში 30 ლიტრი ღვინო მიიტანა. მან ამ ღვინით ერთი ცალი ცარიელი ქვევრი ბოლომდე გაავსო, რის შედეგადაც მას კიდევ 4 ლიტრი ღვინო დარჩა. ბაბუას კიდევ აქვს იგივე ზომის რამდენიმე ცარიელი ქვევრი.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი ლიტრი ღვინო მიიტანა ბაბუამ მარანში?  
1) 4 ლიტრი      2) 26 ლიტრი      3) 30 ლიტრი      4) 34 ლიტრი

2 ბ) ქვევრის გავსების შემდეგ რამდენი ლიტრი ღვინო დარჩა ბაბუას?  
1) 4 ლიტრი      2) 26 ლიტრი      3) 30 ლიტრი      4) 34 ლიტრი

7 გ) სულ რამდენი ლიტრი ღვინოა საჭირო 2 ცარიელი ქვევრის ბოლომდე გასავსებად?  
1) 8 ლიტრი      2) 26 ლიტრი      3) 52 ლიტრი      4) 60 ლიტრი

5) საფეხბურთო მატჩის დროს მეხუთეკლასელებმა მეოთხეკლასელებს 3 გოლი გაუტანეს, ხოლო მეოთხეკლასელებმა კი მეხუთეკლასელებს 1-ით ნაკლები გოლი გაუტანეს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი გოლი გაუტანეს მეხუთეკლასელებმა მეოთხეკლასელებს?  
1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი

5 ბ) რამდენი გოლი გაუტანეს მეოთხეკლასელებმა მეხუთეკლასელებს?  
1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი

7 გ) რა ანგარიშით დასრულდა ეს შეხვედრა?  
1) 3 : 1      2) 3 : 2      3) 3 : 0      4) 3 : 4


6) ნათიას 10 ლარი ჰქონდა. მან ნინის 2 ლარი მისცა. ამის შემდეგ ნინის 2 ლარით მეტი გაუხდა, ვიდრე დარჩა ნათიას. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2 ა) რამდენი ლარი ჰქონდა ნათიას?  
1) 6 ლარი      2) 8 ლარი      3) 10 ლარი      4) 12 ლარი


2 ბ) რამდენი ლარი მისცა ნათიამ ნინის?  
1) 2 ლარი      2) 4 ლარი      3) 6 ლარი      4) 8 ლარი

5 გ) რამდენი ლარი გაუხდა ნინის მას შემდეგ რაც ნათიამ 2 ლარი მისცა?  
1) 6 ლარი      2) 8 ლარი      3) 10 ლარი      4) 12 ლარი


7 დ) რამდენი ლარი ჰქონდა ნინის სანამ ნათია ორ ლარს მისცემდა?  
1) 6 ლარი      2) 8 ლარი      3) 10 ლარი      4) 12 ლარი

 7) ეზოში წითელი და ყვითელი ვარდები ყვავის, სულ 18 ცალი. მათ შორის 7-ის გარდა ყველა ყვითელი ვარდია. რამდენი ყვითელი ვარდია ეზოში?


- 1) შვიდი                      2) რვა                      3) ათი                      4) თერთმეტი

 8) თომას 2 შვილი ჰყავს: ირაკლი და ნინა. ირაკლის 3 შვილი ჰყავს, ნინას კი – 2-ით მეტი შვილი ჰყავს, ვიდრე ირაკლის. სულ რამდენი შვილი და შვილიშვილი ჰყავს თომას?


- 1) ხუთი                      2) შვიდი                      3) რვა                      4) ათი

 9) თომა 8 წლისაა, ნინო კი – 2 წლით უფროსია თომაზე. რამდენი იქნება თომას და ნინოს წლოვანებათა ჯამი მომავალ წელს?


- 1) ათი                      2) თვრამეტი                      3) ცხრამეტი                      4) ოცი

 10) ნინო, ვანო და ლადო სახლიდან სკოლისკენ გაიქცნენ. ნინო სკოლაში პირველი არ მისულა, ვანო სკოლაში ლადოს შემდეგ მივიდა. ვინ მივიდა სკოლაში პირველი?

- 1) ლადო                      2) ვანო                      3) ნინო                      4) ამის გაგება შეუძლებელია

 11) ციფრებით: 3; 1 და 7 ტასომ სამი რიცხვი შეადგინა: 11, 33 და 77. ლადომ იგივე ციფრების გამოყენებით ტასოს მიერ შედგენილი რიცხვებისგან განსხვავებული კიდევ ექვსი სხვადასხვა ორნიშნა რიცხვი შეადგინა, რომელთაგან უდიდესი და უმცირესი დაფაზე დაწერა. დაფაზე რიცხვების დაწერისას რომელი ციფრი გამოიყენა ლადომ ორჯერ?

- 1) ერთიანი                      2) სამიანი                      3) შვიდიანი                      4) სამივე

 12) ბადში ყვავის მხოლოდ წითელი ტიტა, ყვითელი ვარდი და თეთრი გვირილა. მეზადეს არ მოურწყავს არც ტიტა და არც თეთრი ყვავილი. რომელი ყვავილი მორწყა მეზადემ?

- 1) ტიტა                      2) ვარდი                      3) გვირილა                      4) ამის გაგება შეუძლებელია